პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

6 აგვისტო
შაბათი
1908. შანიავსკის სახელობის [illegible] უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრა.
1844 დაიბადა მხატვარი [illegible] რეპინი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, [illegible] ქ. № 1. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირისა [illegible] 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის [illegible]
[illegible]
თბილისი [illegible]

№ 128 შაბათი, 6 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 6 აგვისტო, 1921 წ. № 128

დღიური

— შორეულ აღმ. სანაპიროში წითელი პარტიზანები ებრძვიან იაპონიის ჯარს. უკანასკნელი [illegible] მდებ. აჯანყება გაფიცვები ძლიერდება

რატომ უნდა გავამაგროთ პარტია

ჯერ იდევ 1917 წლის სექტემბერში, როცა ოქტომბრის გადატრიალებისათვის ემზადებოდენ და ბევრი ბოლშევიკი ეჭვში შედიოდა: ვაი თუ ხელისუფლება ვერ შევინარჩუნოთ, ამხ. ლენინმა თავის შესანიშნავ ბროშურაში „შეინარჩუნებენ ბოლშევიკები ძალაუფლებას, თუ ვერა"—ნათელჰყო და დაამტკიცა დებულება: თუ საუკუნეების განმავლობაში რუსეთის 130 ათასი მსხვილი მებატონე ახერხებდა 100 მილიონიანი ხალხის მმართველობას და ამ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მის დამორჩილებას, მით უფრო ადვილათ შეიძლებს რუსეთის კომუნისტური პარტია, რომლის წევრთა რიცხვი (იმ დროს) 240 ათასს აღწევს და რომელიც რუსეთის ხალხს ხელმძღვანელობას გაუწევს ამ ხალხისავე ინტერესების თანახმათ და არა მის საწინააღმდეგოთ, ამ ხალხისავე თანამშრომლობით და პირდაპირი მონაწილეობით.

ეს წინასწარ გამოთქმული თეორეტიული დებულება პრაქტიკაშიაც განმტკიცდა იმავე ამხ. ლენინის შრომებით და მოღვაწეობით.

რუსეთის დიდი რევოლუციის ოთხი წლის პრაქტიკა ნათლათ გვიმტკიცებს, რომ 140 მილიონიან მცხოვრებთ საოცარი სიმარჯვით, მხნეთ და შეუდრეკლათ მიმართავს პარტია, რომლის წევრთა რიცხვი დღემდე 600 ათასს არ აღემატება.

აქედან ნათელია, რომ მართვა-გამგეობისათვის რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ აქ ისიც ცხადია, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის უპირველესი და თავი და თავი პირობა—ეს მმართველი პარტიის და კლასის სიმაგრე სიმტკიცეა.

თუ გვინდა კომუნისტური წყობილება დამყარდეს: ყოველ მშრომელს შეეძლოს თავისუფლათ ისარგებლოს თავისი ნაშრომით და არ დაჩაგროს სხვა, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა თავდაპირველათ პროლეტარიატმა მოიწყოს თავისი საკუთარი სახელმწიფო და ეცადოს შეინარჩუნოს ეს ხელისუფლება, რომ იგი სხვა კლასს ხელში არ ჩაუვარდეს.

ხოლო თუ გვინდა ეს ხელისუფლება შევინარჩუნოთ და შევძლოთ მართვა-ხელმძღვანელობა მშრომელი მასსების, ამისთვის აუცილებელია პარტიის გამაგრება.

თუ თვითმპყრობელობის დროს ხელისუფლება შეინარჩუნა მებატონეთა კლასმა მთელი საუკუნოების განმავლობაში, ეს ერთი იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა და სახელმწიფოს ჰმართავდა საკმაოთ გამოცდილი, ხალხის დამორჩილება-მოტყუებაში და ძალმომრეობაში დახელოვნებული ბიუროკრატია, რომელიც პარტიის როლს ასრულებდა იმ დროს, ხოლო მეორე მხრით იმიტომ, რომ თვით ხალხის შეუგნებლობა სიბნელე ხელს უწყობდა ასეთ ურთიერთობის განმტკიცებას.

დღეს კი, როცა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელშია, შენარჩუნება ამისი შეიძლება მხოლოთ ერთი იმ პირობით, თუ მუშებისა და გლეხების ინტერესთა გამაერთიანებელი პარტია, კომუნისტური პარტია მტკიცე და მაგარი იქნება, ხოლო მეორე იმით, თუ თვით მშრომელთა მასსები კულტურულ განვითარების საკმაო სიმაღლეზე დადგებიან და თავიანთ საერთო ინტერესებს შეიგნებენ და ამ ინტერესების თანახმათ იმოქმედებენ.

ამნაირათ ერთნაირათ საჭიროა როგორც პარტიის გამაგრება განმტკიცება, ისე თვითონ ხალხის შეგნება თვითმოქმედება; პარტიის წინამძღოლობა, ხოლო მასსების მოქმედება-გაყოლა, შეთანხმებული მუშაობა.

მაგრამ აქ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს აუცილებლათ: სახელდობრ ის, რომ თვით პარტიის სიმაგრე მისი ელემენტების ღირსება-თვისება დამოკიდებულია იმ მასსების ღირსება-თვისებაზე, საიდანაც ის მოქმედებს ეს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით თვით მასსების კულტურული წარმატება-განვითარება დიდათ დამოკიდებულია პარტიის ენერგიულ და მიზან შეწონილ მოქმედებაზე.

და ამ მიზან შეწონილ მოქმედებას განსაკუთრებით მას შემდეგ ეძლევა თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც მუშათა კლასმა და გლეხკაცობამ ხელისუფლება ჩაიგდო ხელში.

ამიტომ ხელისუფლება, პოლიტიკა გადამჭრელი მომენტი ხდება არა მხოლოთ კულტურულ სფეროში, ხალხის კულტურული ამაღლების საქმეში, არამედ ეკონომიურ სფეროშიაც. „ზედნაშენი" ღებულობს უაღრეს მნიშვნელობას, რომლის შემწეობით ეწყობა საზოგადოების ახალი საფუძველი, ახალი ეკონომიკა.

აქედან ყველასთვის აშკარა და ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ უნდა გავამაგროთ პარტია.

პარტია უნდა გავამაგროთ, რომ შევქმნათ პროლეტარული სახელმწიფო, გავატაროთ პროლეტარული დიქტატურა რომ შევინარჩუნოთ ხელისუფლება.

პარტია უნდა გავამაგროთ, რომ ამოვფხვრათ კონტრ-რევოლუციის ბუდეები შინ და გარეთ! პარტია უნდა გავამაგროთ, რომ შეიარაღებულ კონტრრევოლუციას შინ და გარეთ დაუპირდაპიროთ ძლევა მოსილი მხედრობა—წითელი არმია განმტკიცებული კომუნისტური იდეებით!

პარტია უნდა გავამაგროთ, რომ მაგარი კომუნისტური პოლიტიკით მჭიდროთ შეკავშირებული მშრომელთა მასსები მტკიცეთ დადგნენ ეკონომიური შემოქმედების ნიადაგზე: განაყოფიერონ შრომა, გააცხოველონ წარმოება, მრეწველობა და ყოველგვარი მეურნეობა, შექმნან ახალი საფუძვლები ახალი ეკონომიკისა და ამნაირად პროლეტარულ პოლიტიკას საფუძვლად დაუდვან პროლეტარული ეკონომიკა, რომ „ზედნაშენი" არ ჩამოინგრეს, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდეს, განვითარდეს და ისეთნაირად „თავის-თავის უარყოფათ გადაიქცეს".

ამნაირად პარტია უნდა გავამაგროთ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს პარტია საჭირო აღარ იქნეს, რომ პარტიათ მთელი მშრომელი ხალხი გადაიქცეს.

მაგრამ ყოველივე ეს საკმაოთ ხანგრძლივი პროცესია, ყოველივე ეს ამ მოკლე დროში ვერ მოხდება. საჭიროა საქმის დაწყება და მისი მედგარი განგრძობა.

საქართველოში ეს პროცესი უკვე დაიწყო, მაგრამ მოგეხსენებათ ყოველი საქმის დასაწყისი მეტად ძნელია და მით უფრო ისეთი სრულიად ახალი საქმის, ისეთი ახალი წყობილების, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არც ერთ თავის ნაწილში არ განუცდია.

საქართველოში ნიადაგიც სუსტია და მწირი, რომელზედაც ეს საქმე—საბჭოთა სისტემა და სოციალისტური წყობილება—უნდა აღმოცენდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შედარებით აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ჩვენი მხარე შედარებით ამ მხრითაც ბედნიერია და სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუ დღემდე ჩვენი პარტია სუსტი იყო, შემდეგში ეს აღარ იქნება: იგი დაძლევს ჩვენს დუხჭირ პირობებს, ყველა დაბრკოლებებს და ახლო მომავალში გახდება ისეთივე მტკიცე, მედგარი და მნიშვნელოვანი თავისი ხალხისათვის, როგორიც არის დღეს რუსეთის ხალხისთვის რუსეთის კომუნისტური პარტიისა.

ხვალ დასრულდება პარტიის გამაგრების ორკვირეული, რომელიც გამოაცხადა საქართ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტმა და რომელიც ჯერ მხოლოთ ქალაქ თბილისში გატარდა. ამას შემდეგ დიდ ქალაქს მიჰყვება პროვინციაც და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პირველი ნაბიჯი თავის შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

საჭიროა მხოლოთ პროვინციის მოწინავე ამხანაგებმა თავიდანვე გაითვალისწინონ, თუ როგორ უნდა გავამაგროთ პარტია და ამაზე ააშენონ თავისი ორკვირეული მუშაობის გეგმა.

ხმა საფლავიდან

II

მენშევიკების ჟურნ. „თავისუფალი საქართველო"ს ამშვენებს წერილი ბურჟუაზიული ნაფიცი დიპლომატის, კ. ჩხეიძის წერილიც. ჩვენს ამხანაგს, ა. შეინმანს, რომელიც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი იყო ნ. ჟორდანიას მთავრობასთან, ბერლინის კომუნისტურ გაზ. „ახალი გზა"-ში გამოუქვეყნებია განცხადება საქ. მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის შესახებ. ამ განცხადების შინაარსს ჩვენ არ ვართ გაცნობილი. ხოლო ბ. ჩხეიძის სიტყვით ა. შეინმანს წამოყენებული აქვს ორი ბრალდება: 1) საქართველოს ყოფილი მთავრობა აწყობდა აჯანყებებს მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში. 2) საქართვ. მთავრობას სურდა სამშვიდობო ხელშეკრულების გადასინჯვა.

ბ. ჩხეიძე თავის საპასუხო წერილს იწყებს თვით შეინმანის როლის დახასიათებით. მისი მტკიცებით ამხ. შეინმანი „სრული ექვსი თვის განმავლობაში დაუცხრომლად შრომობდა ამ ომის მოსამზადებლათ"; შეინმანი თურმე „ერთი მხრით არწმუნებდა საქართველოს მთავრობას მოსკოვის მშვიდობიან განზრახვებში და ამავე დროს აქეზებდა თავის მთავრობას ჩვენ ქვეყანაზე თავდასასხმელათ"...

არ ვიცით, წაგებული საქმე და გაჭირვებული მდგომარეობა ჰყოფს იძულებულს ბ. ჩხეიძეს ასეთ ტყუილს მიმართოს, თუ სწორი ინფორმაციის უქონლობა. ამ სტრიქონების ავტორს მოუხდა ამხ. შეინმანთან ახლო დგომა მთელ იმ დროის განმავლობაში, როცა ის თბილისში იყო, მას შეეძლება ჰქონდა ახლოთ გაცნობოდა ამხ. შეინმანის და საერთოდ რუსეთის წარმომადგენლობის თითეულ ნაბიჯს და განზრახვასაც კი, და უნდა ვთქვათ, რომ მეტი სიბრიყვე, რაც გამოიჩინეს ქართველ მენშევიკებმა ამხ. შეინმანის მდგომარეობის დაფასებაში, წარმოუდგენელია. ამხ. შეინმანი დღიდან მისი ჩამოსვლისა თბილისში არა თუ სვეტებით ასრულებდა მოსკოვის დირექტივას, ხშირად აჭარბებდა კიდეც. ეს დირექტივა კი ასეთი იყო: მენშევიკურ, ე. ი. ბურჟუაზიულ საქართველოს მიმართ არავითარი დაბრკოლებას, არავითარი ხელისშეშლას არ უნდა ქონდეს ადგილი თუ კი ის რუსეთთან ხელშეკრულებას ასრულებს. ყოველგვარი დახმარება ბურჟუაზიულ საქართველოს აყვავებაში ისე იყო დაინტერესებული ამხ. შეინმანი, რომ არა თუ ფიქრადაც არ მოსვლია მოსკოვის წაქეზება საქართველოს წინააღმდეგ ომზე, მომხრე იყო საჭირო რაოდენობა ნავთის საქართველოს მიეღო უფასოთ, მომხრე იყო მისთვის ოქროს სესხის მიცემის, სურსათის მიწოდების და სხ. მან მენშევიკებთან ერთ-ერთ შეთანხმებას, მენშევიკებისათვის მეტად ხელსაყრელს, ნაცვლადაც კი მოაწერა ხელი, არ მოუცდია მოსკოვის ნებართვას, რაც სავალდებულო იყო იმ ხანად. მაგრამ რა შეინმანის ბრალია, თუ თავხედობით აღსავსე იმპერიალისტების ელჩების ჩურჩულით დაიმედებულმა ომიშვილების კამარილამ ცა ქუდათ არ მიიჩნია და დედამიწა ქალამნად, და შეინმანის, ე. ი. იმავე მოსკოვის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის სისუსტეთ ჩათვალა, ალღო აებნა, გონიერების უკანასკნელი მისხალი დაკარგა და ამით აუცილებელი დაღუპვა მოუმზადა თავის თავსაც და თავის ბურჟუაზიულ რეჟიმსაც. ის გამომწვევი პოზიცია რომელიც დაიკავა მენშევიკების მთავრობამ შეინმანის და მოსკოვის წინააღმდეგ, ის ჭეშმარიტად ქამისებური ხითხითი და შეუწყვეტელი შეთქმულებები, რითაც პასუხს სცემდენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს რამიშვილის სკოლის პოლიტიკოსები, მიჩვენებელი იყო იმის, რომ მენშევიკებს დაღუპვის წინ დაეკარგათ უკანასკნელი ნიშანწყალი გონიერების, პოლიტიკური აზროვნების, თუნდა ბურჟუაზიული გონიერების და აზროვნების. პატივება და შებრალება ისტორიამ არ იცის: აჯანყებულმა გლეხმა წითელი არმიის დახმარებით შორს გადაისროლა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულებებში გართული მენშევიკური მთავრობა, რომელსაც ასულდგმულებდა, რომელსაც ეხმარებოდა დასავლეთის იმპერიალიზმი.

მაგრამ ბ. ჩხეიძე უარჰყოფს, ცივი მეგრული „ენდაზით" უპასუხებს ამხ. შეინმანის ბრალდებას. ეს ბრალდება „მტკნარი სიცრუეა. საქართველოს მთავრობას არასოდეს არ მოუწყვია არც აჯანყება და არც შეთქმულება მეზობელ რესპუბლიკებში"-ო, აი მთელი პასუხი ბ. ჩხეიძის. მხოლოდ უმატებს შემდეგს: „ჩვენ რომ სურვილი გვქონოდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის, ჩვენ შეგვეძლო ჩავრეულიყავით მაშინ, როცა მოსკოვს ემუქრებოდა მოხალისეთა არმია დენიკინისა"-ო.

ბ. ჩხეიძისათვის ალბად აღარ არსებობს წარსული, მაგრამ ეს წარსული არსებობს ხალხის მახსოვრობაში და მხრების აწევით და „სიცრუის" დამოწმებით მისი დავიწყება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ გაქცეულმა მთავრობამ არ დაივიწყა ოქრო-სიმდიდრესთან ერთად ყველა არქივების თან-წაღება, მაინც ბლომათ მოგროვდა აქ საქართველოში და უმთავრესად ყირიმში, ვრანგელის ყოფილ საბუნაგოში, მენშევიკური მთავრობის მამხილებელი მასალა. ამ საბუთებით მტკიცდება ისედაც ეჭვმიუტანელი კავშირი ჟორდანიას მთავრობისა როგორც დენიკინ-ვრანგელთან, ისე მთიელთა კონტრრევოლუციონერებთან. მენშევიკების რწმუნებული ვაჩეიშვილი, ვრანგელთან დადებული ხელშეკრულობის ძალით საქ. მთავრობა ვრანგელს აწვდიდა ნავთს, მაზუთს, ბენზინის ზეთებს, ქუდებს, ავიაციისათვის საჭირო ხე-ტყეს მასალას. მენშევიკურ საქართველოს ნავსადგურები ღია იყო ვრანგელის გემებისათვის, აქედან კი (ბათომ-ფოთიდან) მრავალი დატვირთული გემი გასულა ყირიმში, როგორც ეს ისჩანს ბათომისა და ფოთის საბაჟოების წიგნებიდან.

ვის არ ახსოვს მენშევიკების საგარეო მინისტრის ე. გეგეჭკორის მონაწილეობა ალექსეევ-დენიკინთან კონფერენციაში ქ. ეკატერინოდარში, როცა ის ფიცს ქვეშ არწმუნებდა მეფის გენერლებს—ჩვენ თქვენთან გვაერთებს ერთი მიზანი, ჩვენ უკვე გაგიწიეთ არსებითი დახმარება საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლაში და ველით თქვენგან იუდას გასამრჯელოსო.

ვის არ ახსოვს გენ. ლიახოვის თბილისში მუშაობა, როცა ის მობილიზაციას უკეთებდა აქ რუს ოფიცრობას, მენშევიკები კი აცმევდენ-ახურავდენ ამ შავ ლაშქარს და საქ. სამხედრო გზით კავკასიონს იქით ისტუმრებდენ რუსეთის მუშა გლეხების საჟლეტად? ან დავიწყება ვისმე დენიკინის ელჩის, გენერალ ბარათოვის ჯოჯოხეთური მუშაობა მენშევიკების სატახტო ქალაქში და მათივე ლოცვა-კურთხევით?

ან განა ვინმემ არ იცის, თუ სად იყო სათავე ჩაჩნეთში და დაღესტანში კონტრრევოლუციონურ აჯანყებების? სად იყო თავი შეთქმულებების ძაფის, რომელიც სიღნაღზე, ქართლზე იყო გაბმული და თავდებოდა იქ მთელ თავადების ბუნაგებში? ან საიდან მისდიოდათ ფული და იარაღი აჯანყებულებს?

განა გადაწყვეტილი არ იყო 1921 წ. გაზაფხულზე, როცა მთა-გორაკები გამწვანდებოდა თოვლიდან და გზები გაიხსნებოდა ერთბაშად აჯანყება მთიელთა რესპუბლიკაში, დაღესტანში და აზერბეიჯანში? უმანკო კრავის წამოსასხამში გახვევა და „სიცრუე"-ს ძახილი აქ ვერ გაჭრის და ვერ გააბათილებს ნამდვილ ფაქტს. ეს ფაქტი კი ლალადებს ქართველ მენშევიკების გამუდმებულ კონტრრევოლუციონურ მუშაობას საბჭოთა მთავრობის დასამხობათ რუსეთში, მათ აშკარა და ფარულ კავშირს მუშურ გლეხურ რესპუბლიკის მოსისხლე მტრებთან. როცა ქართვ. მენშევიკების ბუტე ტრუბამ—კოჯორთან გავიმარჯვეთ და დავდევნეთ უკუქცეულ მტერსო—ათმა, თბილისში მოკალათებული კონტრ-რევოლუციონური ჯგუფები. განა ერთბაშად თავი არ წამოყვეს და დღის სინათლეზე გამოვიდნენ ყუბანის, თერგის, მთიულეთის, დაღესტნის და აზერბეიჯანის „გამათავისუფლებელი კომიტეტები"? მათი დეკლარაციები ხომ მენშევიკების პარტიულ გაზეთების ფურცლებზედაც არის აღბეჭდილი? განა მათი დახმარებით არ ცდილობდენ რომ შვილები ბოლშევიკების გარეკას აზერბეიჯანიდან, ბაქოდან და კიდევ იქით?

აქ გვახსენდება ერთი შემთხვევა. ქუთაისში მენშევიკურ მთავრობის დელეგაციას ჩამოყვა ერთი თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი დამფუძ. კრების წევრი და მთავრობის სფეროებთან დაახლოვებული მენშევიკი. ორივე მხარის დელეგატებს გვქონდა საერთო საუბარი მომხდარ გადატრიალების და ბრძოლის ცალკე ეპიზოდების შესახებ. სხვათაშორის მან შეგვკვეხა ხელი ჩაიქნია და მკვახეთ მომახალა: „ერთი ორიოდე თვით დაგვიანებით მომხდარიყო ეს და დაინახავდით, რომ ბაქოს იქით გადაგრეკავდით სულ მალე"-ო. ესე იგი, გაზაფხულამდის მიგვეწია როგორმე, როცა გზები გაიხსნებოდა და ჩვენი შეთქმულების გეგმა დასრულებული იქნებოდა, და მაშინ გაყურებინებდით თქვენს სეირსო.

ვინ ვის აყურებინებდა სეირს—ეს დღეს საინტერესო არ არის.

საინტერესო და საყურადღებოა კი მენშევიკების ღიარება გაზაფხულზე აჯანყების და პირდაპირ ომის სამზადისის აღიარება. ოქროპირ ჩხეიძესაც არ ძალუძს ამის მოფიჩხება, თუმცა ის დახელოვნებულია ამ დარგში.

აი მოუსმინეთ მას, თუ რას სწერს კიდევ: „არა ნაკლებ ყალბია ბ. შეინმანის ვერსია, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ჩვენს მთავრობას ხელი აეღოს თავის ხელისუფლებაზე რევოლუციონური კომიტეტის სასარგებლოთ". როგორ მოგწონთ? გულმავიწყ ჩხეიძეს მოვაგონოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც ეწოდება: „შეთანხმება შესახებ საომარი მოქმედების ლიკვიდაციისა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის და საქართველოს რევკომის შორის".

ამ შეთანხმების მე 2 მუხლში ნათქვამია: დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციონური კომიტეტის ჯარებს შევიდეს ბათომის ოლქში მის დასაკავებლად..." მუხლი მე-4 „არა უგვიანეს ვიდრე 25 მარტისა ჩათვლით ქ. ბათომსა, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ბათომამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება".

რა უგვიანეს 25 მარტისა ბ. ჩხეიძე და მისი მთავრობა ცნობილ „ჭადრაკულ" მდგომარეობაში ჩავარდენ თავიანთ კეთილისმყოფელ იმპერიალისტების წინაშე, რომლებმაც უხსნეს მათ, რომ თუ თქვენ თვითონ მოაწერეთ ხელი შეთანხმებას, დასცალეთ დარჩენილი ტერიტორია და ამ რიგათ იცანით საქ. რევოლუც. კომიტეტი, რაღასი მთავრობა ხართ ახლა? მენშევიკებიც თითზე კბენით სიცრუის გუდას ხსნიან თავს და დაგვიანებით იფიცებიან: არავითარი ტერიტორია არ გადგვიცლია საქართველოს რევკომისთვის: „გაცუცურაკებული" ყოფილი მთავრობა იქ მიდისაც კი მივიდა, რომ ევროპაში აცხადებს, არავითარი მოლაპარაკება არ გაგვიმართავს თავს საქართვ. რევკომთან და არც დელეგაცია გაგვიგზავნია!

მაგრამ, ვიცოდით რა ფასი მენშევიკების პოლიტიკურ პატიოსნების, ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორის ხელმოწერილი და სახელმწიფო ბეჭედ დასმული ხუთი მანდატი დელეგატებისთვის შევინახეთ და ახლა „მომარაგებული" გვაქვს. ამიტომ ფუჭია ბ. მ. ჩხეიძეების ფიცი და ლალადი. სამუდამოთ გაკოტრებულებს ვერც ფიცი უშველის და ვერც ლალადისი. ხმა მათი დარჩა და დარჩება ხმად ისტორიის საფლავში, საუკუნოთ ჩასვენებულსა.

ბ. ო.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო

საქართველოს მომარაგების

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში მოეწყო მთელი რიგი თათბირი საქართველოს რევკომის წევრთა, რუს. სოციალ. ფედ. საბ. რეს. სასურსათო სახალხო კომისარ. კოლეგიის წევრის ამხ. ხალატოვისა, ამიერ კავკასიის რკინის გზების წარმომადგენელთა, კოოპერაციის კავშირის და სხ. მონაწილეობით. საქართველოს სურსათით მომარაგების წლიური გეგმის შედგენის საკითხის შესახებ და საჭირო ზომების გამოკვლევა დასახულ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად და წლიური საჭირო მომარაგების გამოანგარიშება.

სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ გადმოცემულ მასალების და ცნობებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს მოხმარების რაოდენობა უდრის თვეში 300,000 მეტ-მეტზე დაახლოვებით 3.000.000 ფუთი, ხოლო წლიურად 3 000,000 ფუთი.

საქართველოს მომარაგების პირველ და არსებით წყაროდ სცნეს სასურსათო გადასახადი, რომელიც ფიქრობენ შემოიღონ 21—22 წლის განმავლობაში ორი ვარიანტის გამოანგარიშებით 33 პროც. და 26 პროც. მომარაგების მეორე წყაროთ უნდა ჩაითვალოს შიდა საქონლის გადაცვლა, რომელსაც აწარმოებს საქართ. სასურსათო სახალხო კომისარიატი დასახული მიზნის შესასრულებლად ადგილობრივ კოოპერატივთა ორგანოების საშუალებით. ამის გარდა პრინციპიალურად შესაძლებლად სცნეს რუსეთ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მხრივ დახმარება საქართველოს მომარაგების საქმეში ფართო მოხმარების საგნებით, რისთვისაც წინადადება მისცეს საქართ. სასურსათო სახალხო კომისარიატს წარუდგინოს რუს. ს. ფ. ს. რესპ. სასურსათო სახალხო კომისარიატს სათანადო მოტივებით განმარტებული მოთხოვნილება, რათა მომარაგების წესისთვის მიიღოს ორგანიზაციული ჩვენება.

ამის გარდა საჭიროდ სცნეს საქ. სასურსათო სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენელი დელეგატათ გაგზავნონ მოსკოვში.

დახმარება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისაგან გამოიხატება საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატზე ღვინის, დაფნის ფოთლის, ჩაის და სხვ. გატანის დაკისრებით რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატთან შეთანხმებულად გამოანგარიშებულ რაოდენობით.

მომარაგების ახალ ძირითად პრინციპებთან შეთანხმებით საჭიროდ სცნეს სახელმწიფო მომარაგების ხარჯზე მომხმარებელთა მინიმალური რიცხვის დატოვება, რომელიც აუცილებლად და აბსოლიუტურად საჭიროა სახელმწიფოს რომ მომარაგება ცენტრალიზებული იქმნეს მიზნების პრინციპის მიხედვით, უკიდურეს შემთხვევაში ნატურით პრემიის შემოღებით.

ამასთანავე ერთად საჭიროდ სცნეს აუცილებლივ შეუდგნენ კოლლექტიურ მომარაგების ცხოვრებაში გატარებას, ფიქტიურ მომხმარებელთა მოშორებას და სხვ.

თბილისის მომარაგება პირველ რიგში მოთავსებული.

სათათბიროში დიდი ყურადღება უწილადეს ამიერ კავკასიის გზათა მომარაგების საკითხს და ამ მიზნისთვის მომარაგების სათანადო აპპარატის შექმნის საკითხმა გამოიწვია ყოველმხრივი სჯა-ბაასი.

ამ მიზნით თბილისში მოწვეულია ამიერ კავკასიის ცენტრალური სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოება საქართველოს მთლიან ორგანოთ.

ცენტრალური სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოების ხელმძღვანელობით და განკარგულებით არსდება ანალოგიური სექციები მოკავშირე რესპუბლიკათა აზერბეიჯანის, სასომხეთის და საქართველოს საზღვრებში (ც. სტრ. მ. ს.).

ყველა მოლაპარაკებასა და სათათბიროების შედეგათ შემოღებულ პრინციპების და ზომამიღებულების გამოიმუშავეს რა მომარაგების და გადაზიდვის ორგანოებში გატარების დეტალური გეგმა ამხ. ხალატოვმა რ. ს. ფ. ს. რ. სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა გაგზავნა მოსკოვში ვრცელი მოხსენება ადგილობრივ მდგომარეობისა და სასწრაფო ზომების შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭირონი არიან საქართველოს მომარაგების კამპანიის პრაქტიკულად გასატარებლად და მოსაწყობად ამ მიზნისთვის ახლად შექმნილ აპპარატისა.

ოფიცრების დაბრუნება საქართველოში

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის სახელზე მოსკოვიდან სრულიად ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის ამხ. ენუქიძისაგან მიღებულ ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოდან გადასახლებულნი რუსეთში საქართველოს ლაშქრის ოფიცრები მალე დაბრუნებულნი იქნებიან საქართველოში. საქართველოს რევკომის მიერ მიღებულ ცნობებით ქართველი ოფიცრები უკვე გამოემგზავრნენ საქართველოში.

მაუდის გაყიდვა

მიწად მოქმედების კომისარიატმა დაადგინა მიწად მოქმედების სახელოსნოებში დამზადებულ მაუდის რიცხვიდან გაყიდოს. 9 ათასი არშინი მაუდი შეუღებავი და შეღებილი კერძო სახელოსნოებში და 1000 არშ. მაუდი შეღებილი მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სახელოსნოებში. ვაჭრობა იწარმოებს ბაზრის ფასებზე, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეღავათიან ფასებში დათმობილი.

კომინტერნის დღე

თელავი. 2 აგვისტო. (დეპეშით). კვირას ივლისის 24 თელავში მოეწყვეს კომინტერნის მესამე კონგრესის დღე. საღამოს 5 ს. ქალაქის ბაღში შესდგა კონცერტი მიტინგი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. მიტინგზე გამოვიდნენ ამ. რიხაძე, ბრინდმანი და დიდია, რომელთა სიტყვებს დიდის ყურადღებით მოისმინეს. ამ მაზრის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში ამ დღეს მოეწყო მიტინგები.

რუსეთში

ფულის მიღება

მოსკოვი. 4 აგვისტო (რადიო). მოსკოვის საბჭოს ფინანსიურმა განყოფილებამ გამოაცხადა ფულის მიღება ჯამის განუსაზღვრელად შემტანელთა მიმდინარე ანგარიშზე. შეტანილ ფულის გაცემა სწარმოებს დაუყოვნებლივ შემტანთა პირველ მოთხოვნილების თანახვე.

მუშა-ქალები სასურსათო სამუშაოზე,

მოსკოვი. 4 აგვისტო (რადიო). სარატოვის საგუბერნიო აღმასრული-

ნ. ლენინი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კომ." № 124)

სასურსათო გადასახადი, თავისუფალ ვაჭრობისა და კონცესიების შესახებ.

1918 წელს ნათქვამ-ნაზრევში შეცდომების მთელი რიგია ვადების შესახებ. ვადა უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდით მაშინ. ეს საკვირველიც არ არის. მაგრამ ჩვენი ეკონომიკის ძირითადი ელემენტები კი ისევ ის დარჩა. „ღარიბ ღატაკი" გლეხობა (პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები) ბევრს შემთხვევაში საშუალო შეძლების გლეხებად გადაიქცა, რის გამო [illegible]—მესაკუთრეობითი და წვრილ ბურჟუაზიული „სტიქიონი" გაძლიერდა. 1918—1920 წლების სამოქალაქო ომმა კი მეტის მეტად დასცა და გაანადგურა კეთილდღეობა ქვეყნისა, ხელი შეუშალა მის საწარმოვო ძალთა აღორძინებას და ყველაზე მეტად თვით პროლეტარიატი დასცალა სისხლისაგან. ამას ზედ დაერთო 1920 წლის მოუსავლობა, სიმშილი, საქონლის ჭირი, რამაც უფრო ხელი შეუშალა ტრანსპორტისა და მრეწველობის აღდგენას. მაგალითად გლეხებს ცხენები აღარა ჰყავს რომ ერთ-ერთი უმთავრესი ჩვენი სათბობი—შეშა ეზიდნათ.

ბოლოს და ბოლოს, 1921 წლის გაზაფხულზე, ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ აუცილებელი საჭირო გახდა მიგველო სასწრაფო და გადამჭრელი ზომები გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

რატომ სწორეთ გლეხების და არა მუშების?

იმიტომ, რომ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა პური და სათბობი. ყველაზე დიდი „შეფერხება" მთელი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით ამ ჟამად მხოლოდ ამაშია. ხვნა-თესვისა და მოსავლის გაძლიერება, სათბობის დამზადება და მოზიდვა კი შეუძლებელია, თუ გაუმჯობესებულ არ იქნა გლეხების მდგომარეობა მათი საწარმოვო ძალის აღდგენით. უნდა დავიწყოთ გლეხებით, ან, ვისაც ეს არ ესმის, ან ვინც გლეხების წინ წამოყენებაში ხედავს მუშათა დიქტატურის „უარისყოფას", ან ამის მსგავს რამეს, ის ან საქმეს არ უკვირდება და ან ფრაზების მახვეწელი ხდება. პროლეტარიატის დიქტატურა არის პოლიტიკის ხელმძღვანელობა და გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა ისე უნდა მიმართოს თავისი პოლიტიკა, რომ გაკეთებულ იქნეს უპირველესი და უსაჭიროესი საქმე. ახლა კი ყველაზე გადაუდებელი და დაუყოვნებლივი საქმე არის გლეხთა საწარმოო ძალებისა და მეურნეობის აღორძინება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მხოლოდ სასწრაფო ზომების მიღებით შეიძლება როგორც მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება, ისე პროლეტარიატის დიქტატურისაც. ის პროლეტარი, ან პროლეტარიატის ის წარმომადგენელი, რომელიც ამ გზით არ შეეცდებოდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას, საქმით თეთრგვარდიელების და კაპიტალისტების მოკავშირე გამოდგებოდა. ვინაიდან ამ გზით გვერდის ახვევა ნიშნავს: მუშათა ცეხური ინტერესების კლასიურ ინტერესებზე მაღლა დაყენებას, მუშათა უშუალო, წუთიერ და კერძო სარგებლობის ინტერესებისათვის მსხვერპლად შევწიროთ ინტერესები მთელი მუშათა კლასისა, მისი დიქტატურისა, მისი კავშირისა გლეხებთან მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობისა კაპიტალის კლანჭიდან შრომის დახსნის ბრძოლაში.

ამგვარად: პირველი და უსაჭიროესი ზომები უნდა იქნეს მიღებული გლეხთა საწარმოვო ძალების ასაღორძინებლად.

ამის გაკეთება კი შეუძლებელია, თუ თვალსაჩინოდ არ შეიცვალა სასურსათო პოლიტიკა. ასეთი ცვლილება არის გაწერის მაგიერ სასურსათო გადასახადის შემოღება, რომელიც უნდა დაუკავშირდეს თავისუფალ ვაჭრობას გადასახადის აკრეფის შემდეგ, ადგილობრივ სამეურნეო ალებ-მიცემობაში. რაშია მაინც გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის დედა აზრი.

ამ საგნის შესახებ ბევრი ყალბი წარმოდგენაა გავრცელებული. სიყალბე უმთავრესად, იქიდან წარმოსდგება, რომ არ უკვირდებიან ამ ცვლილების ძირითად თვისებას, არ ეკითხებიან თავის თავს: საიდან და სად მივყავართ ამ ცვლილებას. საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ეს იყოს გადასვლა კომუნიზმიდან, საზოგადოთ, ბურჟუაზიულობაზედ საზოგადოთ. ამ შეცდომის წინააღმდეგ იძულებულნი ვართ აუცილებლად გავიხსენოთ ის, რაც ითქვა 1918 წელს.

სასურსათო გადასახადი არის გადასვლის ერთი ფორმათაგანი უკიდურეს გაჭირვებისა, განადგურებისა და ომის მიერ გამოწვეულ თავისებურ „სამხედრო კომუნიზმიდან" პროდუქტების სწორ, სოციალისტურ გაცვლა-გამოცვლისაკენ. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არის სოციალიზმიდან განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც გამოწვეულია წვრილ გლეხობის სიჭარბით კომუნიზმისაკენ გადასვლის ერთ-ერთი ფორმა.

თავისებური „სამხედრო კომუნიზმი" მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ვიღებდით გლეხებისაგან ყველა ზედმეტს და, ხშირად, არა მარტო ზედმეტს, არამედ ვართმევდით საჭირო ულუფასაც, ჯარისა და მუშების შესანახავ ხარჯების დასაფარავად. უმთავრეს შემთხვევებში ვიღებდით სესხად, ქაღალდის ფულზე. უამისოდ ჩვენ ვერ დავამარცხებდით მემამულეებსა და კაპიტალისტებს დანგრეულ გლეხურ ქვეყანაში. და ის ფაქტი, რომ ჩვენ დავამარცხეთ (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დამჩაგვრელებს მხარს უჭერდენ მთელი ქვეყნის უძლიერესი სახელმწიფონი) გვიჩვენებს, თუ რა გმირობა და სასწაულთ მოქმედება შეუძლიათ მუშებსა და გლეხებს, როცა იბრძვიან თავის განთავისუფლებისათვის. ასევე ფაქტი გვიჩვენებს აგრეთვე იმასაც, თუ ბურჟუაზიას როგორი ლაქიები გამოდგენ ესერები, მენშევიკები, და კაუცკი და მისი კამპანია. როცა „სამხედრო კომუნიზმის" შემოღებას გვაკიჟინებდენ. ეს ჩვენი დანაშაულობა კი არა, ჩვენი დამსახურებაა.

მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა ვიცოდეთ ნამდვილი წონა ამ დამსახურების. „სამხედრო კომუნიზმი" ნგრევისა და ომის მიერ იყო გამოწვეული, ის არ იყო და ვერც იქნებოდა პროლეტარიატის სამეურნეო ამოცანების დამაკმაყოფილებელი პოლიტიკა. ეს იყო დროებითი ღონისძიება. პროლეტარიატის, რომელიც ახორციელებს თავის დიქტატურას წვრილ გლეხურ ქვეყანაში, სწორ პოლიტიკათ ითვლება პურის გადაცვლა გლეხობისათვის საჭირო მრეწველობის პროდუქტებზე. მხოლოდ ასეთი სასურსათო პოლიტიკა შეესაბამება პროლეტარიატის ამოცანებს, მხოლოდ ამ პოლიტიკას შეუძლია განამტკიცოს სოციალიზმის საფუძველი და მიიყვანოს ის გამარჯვებამდე.

სასურსათო გადასახადი გადასვლაა აქეთკენ. ჩვენ ჯერ ისე ვართ დაქვეითებულნი, ომის ისეთს სიმძიმეს განვიცდით, (რომელიც გუშინ დავასრულეთ, მაგრამ რომელიც შეიძლება ისევ ასტყდეს ხვალ, კაპიტალისტების გაუმაძღრობისა და ბოროტების გამო), რომ არ შეგვიძლია ჩვენთვის მთელ საჭირო პურში მივაწოდოთ გლეხებს მრეწველობის პროდუქტები. ვიცით რა ეს, ჩვენ ვაწესებთ სასურსათო გადასახადს, ესე იგი, ვგროვებთ გადასახადის სახით პურის მინიმალურათ აუცილებელ (ჯარისა და მუშებისათვის) რაოდენობას, დანარჩენში კი გავუცვლით მრეწველობის პროდუქტებს.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს შემდეგი. ჩვენი გაჭირვება და განადგურება ისეთი დიდია, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან აღვადგინოთ უცბათ მსხვილი, ფაბრიკული, სახელმწიფოებრივ, სოციალისტური წარმოება. ამისათვის საჭიროა წარმოების ცენტრებში გვქონდეს მომარაგებული დიდძალი პური და სათბობი მასალა, საჭიროა გაცვეთილი მანქანების გამოცვლა და სხვა. ჩვენ გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ამის მოგვარება უცბათ არ შეგვიძლია. ჩვენ ვიცით, რომ გამანადგურებელ ომის შემდეგ, არამც თუ ჩვენ, არამედ ყველაზე მდიდარი და დაწინაურებული ქვეყნებიც კი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვერ მოახერხებენ და ვერ შესძლებენ თავის საქმეების გამოსწორებას. მაშასადამე, საჭიროა, რამდენიმედ მაინც, ხელი შევუწყოთ წვრილ წარმოებას, რომელსაც არ სჭირია არც მანქანები და არც დიდი მარაგი ნედლი მასალისა, სათბობისა, სურსათისა. წვრილი წარმოება კი დიდ სარგებლობას მოუტანს გლეხობას, მის მეურნეობას და ასწევს მის საწარმოვო ძალებს.

რას მივიღებთ აქედან?

მივიღებთ იმას რომ თავისუფალ ვაჭრობის ერთგვარ საფუძველზე (თუნდაც ადგილობრივ) აღორძინდება წვრილი ბურჟუაზია და კაპიტალიზმი. ეს უეჭველია და ამაზე თვალების დახუჭვაც სასაცილო იქნება.

განა ეს აუცილებელია? განა ამას რამე გამამართლებელი საბუთი აქვს? განა ეს საფრთხეს არ გვიმზადებს?

ამგვარი კითხვები ბევრი ისმის აქეთ იქიდან და, უმთავრეს შემთხვევაში, ამტკიცებენ მკითხველთა გულუბრყვილობას (მეტი რომ არა ვთქვათ რა).

გაიხსენეთ როგორ ვახასიათებდი 1918 წ. მაისში ჩვენს ეკონომიკაში არსებულ სხვა და სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობის ელემენტებს (შემდეგნაირ 5 წყობად). უარისყოფა იმისი, რომ ჩვენს ეკონომიკაში, დაწყებული პატრიარქალური ე. ი. ნახევრად-ველური წყობიდან სოციალიზმამდე, არსებობს ხუთი საფეხური, ხუთი შემადგენელი ნაწილი—არავის არ შეუძლია. რომ წვრილ გლეხობა ქვეყანაში სჭარბობს „წყობა" წვრილ ბურჟუაზიული, ესე იგი, ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად წვრილ-ბურჟუაზიული, ეს თავის თავად ცხადია. განვითარება წვრილი მეურნეობისა არის განვითარება წვრილ-ბურჟუაზიული, ესე იგი განვითარება კაპიტალისტური, რაკი არსებობს მისი გაცვლა გამოცვლა: ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, პოლიტიკურ ეკონომიის საანბანო ჭეშმარიტებაა, რომელიც დადასტურებულია ყოველდღიური გამოცდილებით, ობივატელური დაკვირვებითაც კი.

როგორი პოლიტიკის წარმოება შეუძლია სოციალისტურ პროლეტარიატს ასეთი ეკონომიური სინამდვილის დროს? გაუცვალოს წვრილ გლეხობას პურზე და ნედლ მასალაზე მისთვის საჭირო მსხვილ სოციალისტური ფაბრიკების ყველა ის პროდუქტები. ეს არის ყველაზე სწორი პოლიტიკა და ჩვენც აქედან დავიწყეთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ გლეხებს ყველა პროდუქტები. და ჩვენ ეს არ შეგვიძლია და ვერც შევძლებთ იქამდე მანამდე, ვიდრე მთელს ქვეყანაში არ მოეწყობა და არ დამთავრდება მუშაობა ელექტროფიკაციისა.

მაშ რა ვქნათ?

ან ავკრძალოთ, სრულიად ჩავკეტოთ და ჩავახშოთ განვითარება კერძო, არასახელმწიფოებრივ, გაცვლა-გამოცვლისა, ესე იგი ვაჭრობისა, ესე იგი, კაპიტალიზმისა, რომ აუცილებელ მოვლენისა მილიონ წვრილ მწარმოებელთა არსებობის დროს. ასეთი პოლიტიკა იქნებოდა დიდი სისულელე და თვითმკვლელობა იმ პარტიისა, რომელიც ამ გზას დაადგებოდა. დიდი სისულელე იქნებოდა იმიტომ რომ ეს პოლიტიკა ეკონომიურად შეუძლებელია. თვითმკვლელობა იქნებოდა იმიტომ, რომ ყველა ის პარტია, რომელიც ასეთს პოლიტიკას დაადგა, აუცილებლად დამარცხდა. ცოდვა გამოტეხილი სჯობია: ზოგიერთი კომუნისტიც „ზრახვით, სიტყვით, თუ საქმით" ასეთსავე პოლიტიკას დაადგა. შევეცადოთ ამ შეცდომის გასწორებას და უეჭველად ეს უნდა შევეცადოთ, თორემ კიდევ უფრო მეტი ცუდი საქმე დაგვემართება.

ან (ერთად-ერთი შესაძლებელი და გონიერი პოლიტიკა) ნუ კი აღვკრძალავთ, ნუ კი ჩავკეტავთ და ჩავახშობთ კაპიტალიზმის განვითარებას, არამედ ვეცადოთ, რომ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის კალაპოტში ჩავაგდოთ იგი. ეს შესაძლებელია ეკონომიურად, ვინაიდან იქ, სადაც არის ელემენტები თავისუფალი ვაჭრობისა საზოგადოდ, კაპიტალიზმისა, ყველგან არის ამა თუ იმ სახის, ამა თუ იმ ღირსების სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმიც.

შეიძლება განა, შეუღლება, შეერთება, შეთანადება საბჭოთა სახელმწიფოსი, პროლეტარიატის დიქტატურისა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმთან?

(შემდეგი იქნება)

შლ კომიტეტმა მოახდინა ყველა მომუშავე ქალთა მობილიზაცია სასურსათო კომპანიისათვის. 12 დღე-[illegible] ქალი ჩაეწერა თავის სურვილით.

წვრიალა ფული

მოსკოვი. 28 ივლისი. პეტროგრადის ზარაფხანას შეკვეთება სწარმოებს საწრაფო წესით. განზრახული აქვთ, რომ ზარაფხანა ყოველ დღე გამოუშვებს 1 ენკენისთვიდან წვრიალა სხვა და სხვა ღირსების ფულს სულ 600,000 მანეთისა. იმ დროს როდესაც ეხლა უშვებს მხოლოდ 60 000 მან. 1922 წლის 1 ივლისისათვის ქარხანა გამოუშვებს 52 მილიონ მანეთის წვრილა ფულს. ზარაფხანაში ვერცხლს მოიტანებენ ახლო დღეების განმავლობაში და მუშაობაც მაშინვე დაიწყება. მოიჭრება მანეთიანები, აბაზიანები და წვრილი ხურდა ფული. ზარაფხანაში უკვე მიტანილია შტამპები და კლიშეები ფულის მოსაჭრელად. მანეთიანები მოიჭრება წმინდა ვერცხლისაგან და წონით ედრება ძველ მანეთიანს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

შორეულ აღმოსავლეთში აჯანყება ძლიერდება.

მოსკოვი, 4 აგვისტო (რადიო). პრიმორიში ამბები სწრაფად ძლიერდება. საყოველთაო გაფიცვა 3 დღეა გრძელდება. აჯანყების მოძრაობა მოედო რკინის გზის ხაზსაც. აჯანყებულებმა სად. მოეჩნოიტთან ხიდი აფეთქეს. დეპეშათა ცნობების მიღება ვლადივოსტოკსა და ნიკოლსკ-უსურიაში შეწყვეტილია. მერკულოვის მომხრეები ვლადივოსტოკში ღამეებს დაუდგრომლად ატარებენ და იერიშებს მოელიან. მერკულოვის მომხრეთა გაქცევის შემთხვევისათვის გემთა უფროსებმა მიიღეს ბრძანება მზად იყვნენ ზღვაში გასაცურებლად. ოლქის მემარჯვენე ბურჟუაზიულ წრეების დამოკიდებულება თეთრგვარდიელებთან და მერკულოვის მთავრობასთან თან და თან მწვავდება, ბურჟუაზია სთვლის, რომ სხვა გამოსავალი არ არის გარდა ვლადივოსტოკის შეერთება შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან. ტარასოვკის მახლობლად წითელ პარტიზანთა და იაპონიის ნაწილთა შორის ბრძოლა მოხდა.

გაფიცვა ვლადივოსტოკში.

ჩიტა 29 ივლისი (რადიო). ვლადივოსტოკში დაიწყო ნაწილობრივი გაფიცვა. გაიფიცნენ საამშენებლო ქარხნის პირველ და მეორე მდინარეს სახელოსნოების მუშები. გაფიცული მტვირთავები, ტრამვაის მუშები და ფოსტის დამტარებლები დათხოვნილი არიან სამსახურიდან

შორეულ აღმოსავლეთში წითელ პარტიზანთა იერიში.

ჩიტა. 23 ივლ. (რადიო) ივლისის 26, ღამე ვლადივოსტოკის რაიონში დაიწყო უწესოება. აფეთქებულია წყალსადენები პირველ და მეორე მდინარეზე. ღამე აჯანყებულებმა დაიჭირეს სად. უგოლნაია, ვლადივოსტოკიდან 26 ვერსის მანძილზე აჯანყებულთა ძლიერი რაზმები უახლოვდებიან ვლადივოსტოკს. უწესოებასთან ერთად ქალაქში დაიწყო მუშების მასიური დაპატიმრება. მოხალისეთა ფლოტი მზათაა გასასვლელად

დიდი ხანძარი პარიზში

პარიზი 22 ივლისი პარიზის მიდამოებში ელექტრონის ქარხანა „ესპიერში“ დიდმა ხანძარმა იფეთქა, დაიწვა ელექტრონისა კაბელები მიწის მილებში. მავთულები განადგურდა ყველა ელექტრონის მანქანები გაფუჭდა. პარიზთან დიდი რაიონი მოკლებულია სინათლეს. ხანძარმა დიდი ზარალი მიაყენა.

ქ რ ო ნ ი კ ა

ს. კ. პ. თფილისის მე-4 ხე რაიკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს მე-4 ხე რაიონის კომიჩეიკთა ყველა მდივნებს პარტიული დისციპლინისამებრ 2-რი დღის ვადაში წარმოადგინონ რაიკომში წევრთა მუშაობის ცნობები ივლისის მეორე ნახევარისა (15 ივლისიდან 1 ლ აგვისტომდე) თან კიდევ ანკეტები პასუხისმგებელი პარტიულ მუშაკების და პარტიული სკოლის სტუდენტებისა.

◆ **დახმარება დამშეულთ** ქალ. თბილისის საკომენდანტო სამმართველოს მოხელეთა და მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ დაადგინა, ვოლგის სანაპიროებზე (პოვოლჟიე) მცხოვრებ დამშეულთა სასარგებლოთ გადადონ თვიური ჯამაგირი და ორი თვის განმავლობაში ნახევარ-ნახევარი გირვანქა პური გადასდონ, რომელიც გაეგზავნება დამშეულთ ფქვილის სახით. ამის გარდა დაადგინეს: მოაწყონ შემოწირულებათა შეკრება და ყოფილ ქართულ კლუბში გამართონ დიდი კონცერტი წარმოდგენა სეირნობით ბაღში, ამერიკული აუქციონი, ლოტარეა ყვავილთა გაყიდვა და სხვა.

◆ **კომუნალურ მეურნეობაში.** ცენტრალურ საბინაო განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ალექსანდრე კალანდარიშვილი დანიშნულია ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიის წევრის მოადგილეთ.

◆ **საზეიმო აქტი.** საქ. კომ. პარტიის ცენტრალური პარტსკოლის პირველი წყების კურსელთა გამოშვებისა გაიმართება კვირას, 7 აგვისტოს, 12 საათზე. ცენტრ. პარტსკოლის ბინაზე (ერმოლოვის ქუჩ. № 12). აქტზე მიწვეულია პარტიისა და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი, სკოლის ლექტორები და სხვა ამხ.

◆ **თეატრალურ სექციის განკარგულება.** თანახმად აკადემიურ ცენტრის დადგენილებისა სახელმწიფო დრამის გამგედ ა. წ. პირველ აგვისტოდან ინიშნება ამხ. ი. ზარდალიშვილი; მის ამხანაგად ალ. სულიკაშვილი.

◆ **თეატრალურ სექციის განკარგულება.** თანახმად აკადემიურ ცენტრის დადგენილებისა სახელმწიფო საოპერო თეატრის გამგედ ა. წ. პირველ აგვისტოდან ინიშნება ამხ. პავლე დადვაძე.

— **ხელმშენებელთა მუშათა კონფერენცია.** საქართ. სამ. სოც. რესპუბლიკის საამშენებლო მუშათა წარმოებით პროფკავშირის ცენტრალური გამგეობას აქ აზრათ აქვს მოიწვიოს სექტემბრის 5 ტფილისში საქართველოს აღმშენებელ მუშათა კონფერენცია.

◆ **თეატრალურ სექციის განკარგულება.** თანახმად აკადემიურ ცენტრის დადგენილებისა ა. წ. პირველ აგვისტოდან ინიშნებიან: 1) აკადემიურ თეატრის (რუსულ დრამის) გამგედ ა. ა. ტუგანოვი, თანაშემწეებათ ა. პეტროკოვსკი (ეწევა გამგის ძოვილე) და გ. იზოლენსკი, 2) აკადემიურ თეატრის (რუსული დრამის) რეჟისორთა კოლეგიაში ინიშნებიან: გ. ტუგანოვი, ერმოლოვ ბორიზდინი, პერესტიანი, მიხაილოვსკი და კონსტანტინოვი. მთავარ რეჟისორად ინიშნება ერმოლოვ-ბორიზდინი, 3) აკადემიურ თეატრის (რუსული დრამის) დასში ჩარიცხულნი არიან: არღუთინსკაია-კოზლოვსკაია, აგეევა ალექსანდროვა-პოკროვსკაია, ბელეცკაია, ბროკგენი, ბრიანსკი, ბუდკევიჩი, ბარსანოვა, ბრანტი, ბაშენევა, ვოლსკი, ვოლხოვსკაია ვეროვა, გელოვინი, გროდეცკი, გალინა, გამოროვი, გოლუბევა, გარინი, დოგმაროვი, დემენტიევი. დელსკი, დანიჩი, დიევსკი, დორინგ, ერანოვი, ერმოლოვი, ელინი, იზოლდოვი, კარენინ, გრუზინინი, კაზევსკი, კადმინი, კონსტანტინოვიჩი, კოტლიარევსკი, კრასლოვსკი, ვერა კონსტანტინოვა, კრასნიანსკი, მარგარიტოვი მაქსიმოვა, მალახოვი, მირონოვი, მირსკაია, მიხაილოვსკი, ნიროვი, ნაზაროვი, ნაბლოცკაია, ნემაჩკი, ლუნკევიჩი, იზოლენსკი, პერეგონიევი, პოკროვსკი ალ., პესტოვსკი, პოლიაკოვი, პეტროვა, პეტროვა ზეირი, როკსანოვა, რობერტი, სატინა სკრიაბინი, სმირნოვა, სავინა, სინოლნიკოვა, სტრელსკი ფედოროვ-მეჩი, ფედოროვ-ვალი, შტეინგელი, შულმანი, ცვეტოვი, სიტოტოვი, ჩუგუი, ელვენი, იაჩმენევი, იახონტოვი, ჩუდინოვა, ჩარსკი.

◆ აკადემიურ თეატრთან (რუსული დრამა) არსდება სათეატრო საბჭო. საბჭოს წევრებად ინიშნებიან: მანსკი, ერანოვი, აბაშიძე. სათეატრო საბჭოში რეჟისორის კოლეგიის წარმომადგენლად შედის ერმოლოვ-ბორიზდინი, საბჭოს შემადგენლობაში შედიან: თეატრის გამგე და მისი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ს. აბაშიძე.

ბავშვთა ახალშენი კოჯორში

მშრომელ ხალხის ხელის უფლების გამარჯვება იმით ამცნობს სხვებს თავის არსებობას, რომ პირველად ყოვლისა უმწეო, ნორჩ ბავშვებზე იწყებს ზრუნვას.

ასე მოხდა ეს ჩვენში, საქართველოშიაც,

განათლების სახალხო კომისარიატის დაუშრეტელი ენერგიით, დაუღალავი მუშაობით, ჩვენ დღეს მოგვეპოვება შესანიშნავად მოწყობილი ბავშვთა ახალშენი კოჯორში.

ახალშენის მომწყობ ინიციატორებს კარგად მიუგნიათ,—ისინი არ შემცდარან ადგილის არჩევანში. ადგილი შესაფერი და მეტად მოსაწონიც არის ბავშვთა საახალშენოდ. ახალშენი თფილისზე ახლო არის, რითაც მშობლებს საშუალება ეძლევა ხშირად ინახულონ თავიანთი შვილები; პასუხის მგებელი ხელმძღვანელთაც ცენტრიდან ეხერხებათ საჭირო დამუდმებული კავშირი იქონიონ მათ ქვემდებარე ახალშენთან; თან ადგილიც კი თავისი ბუნებრივი მოწყობილებით ძლიერ კარგია ამისთვის,—აქ არის ერთმანეთზე დაშორებული, ცალცალკე აშენებული ერთ თუ ორ სართულიანი სახლები, სუფთა, ლამაზი, საშუალო სიდიდის ოთახებით; არის თან სურსათ სანოვაგის დასაწყობი განსაკუთრებული შენობებიც, რაც ძლიერ ხელს უწყობს ახალშენის საეკონომიო სამეურნეო განყოფილების მოგვარებას.

ხსენებულ ახალშენში ბავშვების რიცხვი 350-დის აღწევს.

ახალშენი იყოფა 3 ნაწილად ადგილმდებარეობით.

1 ლ ნაწილში არის (ცენტრად ითვლება, ყველაზე დიდია,) 216 ბავშვი; 2-რე ნაწილში 84; მე 3 მეში, რომელიც „რკინის გზელების ახალშენად“ იწოდება და ეკონომია მეურნეობის მხრივ ახალშენის ხსენებული პირველი და მეორე ნაწილთან დამოუკიდებლად არსებობს, არის—50 ბავშვი.

ბავშვთა მიღების სახელმძღვანელო პრინციპით მიღებული ბავშვების ასაკი განისაზღვრება 4 წლიდან 12-14 წლამდე.

მოზრდილი ბავშვები ცალკე ბინადრობენ, პატარები ცალკე. მოზრდილებსაც და პატარებსაც სასადილოები ბინებზევე აქვთ მოწყობილი ცალ ცალკე.

ბავშვებს სათითაოდ აქვთ ზედმიწევნით სუფთად მორთული ლოგინები, რომელთა ტახტები თავისუფლად სდგას ოთახებში.

ყოველ 25 ბავშვზე არის თითო აღმზრდელ ხელმძღვანელი. ეს აღმზრდელები, მართალია ყველა მცოდნე გამოცდილი არ არიან, მაგრამ ეს აქვთ მომწყობთ მხედველობაში და ცდილობენ შემდეგისთვის გამოასწორონ.

ახალშენს ყავს საკმაო შტატი ექიმ-ფერშლებისა, არის საავადმყოფოც საჭირო მედიკამენტ-წამლებით. მოზრდილ ბავშვებს ყავთ საშევარდენო ვარჯიშობის მასწავლებელი; ყავთ თან სიმღერის მასწავლებელი, რომლის მეოხებით შეუსწავლიათ უკვე კიდეც როგორც ქართულ რუსული შინაური სიმღერები, ისე პროლეტარული ბრძოლის ჰიმნი ინტერნაციონალიც. ბავშვებს 4 ჯერ ეძლევა დღეში საჭმელი,—დილით ორჯელ საღამოთი ორჯელ; მათ საჭმელს შეადგენს,—თეთრი პური, (საკმაოდ ეძლევათ) რძე, კვერცხი, კარაქი, ყველი და სხვა.

... ბავშვებს ეტყობა გამოცოცხლება, ხხიარულება, კმაყოფილება. ბავშვები ეჩვევიან ერთმანეთს, სწავლობენ პრაქტიკაში ერთად ცხოვრებას, განუყოფლობის საჭიროებას,—მათი ნორჩი ტვინები ძალდაუტანებლად, ერთად ყოფნის, ერთად ცხოვრების პროცესში ბუნებრივად იღებენ თვით კომუნიზმით; ისინი შეუჩნევლად, უნებურად, თვით პრაქტიკაში სწავლობენ კომუნისტურ იდეას. მოზრდილები ისე საკმაოდ მომზადებულან, გაწვრთნილან, რომ პოლიტიკურ კითხვებზეც კი ბჭობენ ერთმანეთს ეკითხებიან, ეკამათებიან, არკვევენ ესა თუ ის მათთვის სადაო ვითომ პოლიტიკური კითხვები

სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს რომ განათლების სახალხო კომისარიატმა ამით გააკეთა დიდი საქმე, რომლის ინიციატორ ორგანიზატორად ითვლება კომისარიატთან არსებულ სოციალურ აღზრდის მუშაკნი ამხ. მარიამ ორახელაშვილი და ი. ბრეხნიჩევა, ხსენებული პირები იმედია არ შეაჩერებენ თავიანთ მოქმედებას ამ სფეროში და კიდევ უფრო განავითარებენ დაწყებულ ახალ საქმეს.

ხევსატი

მკითხველის წერილები

ტყიბულს მივეშველოთ!

დღეს ჩვენ მწვავეთ განვიცდით სათბობი მასალის კრიზისს. ეს კრიზისი კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან ზამთარი უკვე ახლოვდება. საჭიროა ამ დროისათვის სათბობი მასალის მარაგი; მაგრამ ამ მხრივ ჩვენ ჯერ ცოტა გავაკეთეთ, ამისათვის ჯერ სერიოზული ყურადღება არ მიგვიქცევია. რა მდგომარეობაშია დღეს ტყიბულის მაღაროები? რამდენ რაოდენობას ნახშირისას იღებდენ იქ უწინ და რამდენს იღებენ ეხლა? ავალაპარაკოთ ციფრები. ამ წლის დასაწყისში ამოუღიათ:

იანვარში . .	952,143 ფ	ნახშირი
თებერვალში .	882,108 „	„
მარტში . . .	71,000 „	„
აპრილში . .	200,780 „	„
მაისში . . .	321.255 „	„
ივნისში . .	327,805 „	„
ივლისში (13 ივლისამდე) .	88.260 „	„

როგორც აქედან ჩანს მენშევიკების დროსაც წარმოება თანდათან ეცემოდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს უფრო შესამჩნევი გახდა. სამჯერ თუ ოთხჯერ შემცირებულია წარმოება და ეს ისეთ დროს, რომელიც მუშაობის საუკეთესო მომენტათ ითვლება. რასაკვირველია არის საამისო მრავალი მიზეზები ყველა ეს მიზეზები დროზე უნდა იქნას აღკვეთილი. ტყიბულის მაღაროებს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. იქ მუშაობა უნდა გამოცხადდეს დამრტყმელ მუშაობათ. უნდა მოვიმზადოთ საკმაო რაოდენობა სათბობი მასალისა, რომ უზრუნველვყოთ ხალხი მომავალ ზამთარში.

უნდა მიექცეს აგრეთვე დიდი ყურადღება ტყიბულის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი უნდა იქნას უზრუნველყოფილი ყველაფრით ეს კი დღეს ასე არ არის. თუ მენშევიკების დროს ისინი ღებულობდენ 4 გ. მჭადს, დღეს ღებულობენ 2 გ. და ეს იმ მძიმე სამუშაოზე, როგორც მაღაროებში მუშაობაა მუშებს აკლიათ ტანისამოსი, არ აცვიათ ფეხზე და სხ. და ამის გამო იძულებული არიან ისინი მიატოვონ სამუშაო და სხვაგან წავიდნენ, რომ თავი გამოიკვებონ. სამუშაოდან ასეთ წასვლას თუ ადგილი აქვს, ამასაც ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა აგრეთვე ტყიბულის მაღაროები უზრუნველყოფილ იქნას ტეხნიკური პერსონალით, რომლებიც გულწრფელათ და ისახავენ მიზნათ მუშაობის გაუმჯობესებას და წარმოების გაზრდას. ტყიბულს უნდა მოვაცილოთ ყველა ჯურის საბოტაჟნიკები, რომლებიც თავისი მავნე მუშაობით აფერხებენ და სცემენ წარმოების ნაყოფიერებას. სხვა მიზეზებიც არის წარმოების დაცემის. ყოველივე ეს უნდა იქნას დროზე გამორკვეული. დრო არ ითმენს. ზამთარი ახლოვდება. პროფკავშირებმა, შრომის სახალხო კომისარიატმა—ყველამ ყურადღება უნდა მიაქციოს ტყიბულის მაღაროებს და ყოველის მხრით ხელი შეუწყოს იქ წარმოების კიდევ უფრო გაძლიერებას და ნაყოფიერების გაზრდას. სანამ გვიან არ არის ეს ასე უნდა ვქნათ. თუ რუსეთში ლოზუნგი იყო: დონეცის მაღაროებისაკენ! აქ ჩვენ უნდა დავისახოთ ლოზუნგათ; ტყიბულის მაღაროებისაკენ! ტყიბულს მივეშველოთ, ტყიბულს დავეხმაროთ!

კარლო.

პარტიული ცხოვრება

ხონი, 31 ივლისი ს. კ. პ. ხონის პირველი თავისუფალი რაიონული კონფერენცია გულითად და მხურვალე სალამს უძღვნის საქ. კომპარტიის ცეკას, როგორც ხელმძღვანელს და მეთაურს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველის, საქ. კომუნისტურ პარტიისას.

ხონის რაიონული კონფერენციის პრეზიდიუმი 31 ივლისი 1921 წ.

—

თელავი, 3 აგვისტო, რაიპარტკონფერენციები ფშავლის მძიმე ენისლის და ახალსოფლის რაიონებში გესალმებათ საქ. კომპარტიის ცეკას. ჩვენ აქ პროვინციებში მომუშავენი ვეცდებით და მთელის ენერგიას მოვახმართ იმას, რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა კომუნისტურ რევოლუციის დასაცავათ.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ რევოლუციას და მის შტაბს კომინტერნს! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! **კონფერენციის თავმჯდომარე ზუბაჩიძე.**

—

ახურეთი, 15 ივლისი. ჩვენ, პარტიულმა კრებამ ახურეთის რაიონისა რიცხვით 100 კაცმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მგელაძისა იმის შესახებ, თუ რა არის კომუნისტური პარტია რა გააკეთა იმ რევოლუციაში, თანამედროვე მომენტზე ეკონომიურ პოლიტიკაზე, ორგანიზაციულ კითხვებზე, დავადგინეთ, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი პარტია მხსნელი მუშებისა და მშრომელი გლეხებისა. მივესალმებით საერთო საქვეყნო რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს და საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ ბელადს ამხ. მახარაძეს, საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოს, ცეკას. ჩვენ ვიძლევით ჩვენ კომუნისტურ სიტყვას, რომ როგორც ერთი კაცი დავიცავთ რევოლუციას, როგორც სისხლის ისე უსისხლო შრომის ფრონტზე. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს საქვეყნო რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს! გაუმარჯოს საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს! გაუმარჯოს ამხ. ფილიპე მახარაძეს! გაუმარჯოს სოციალიზმს! კრების თავმჯდომარე **ეგნატე ბერძენიშვილი.**

—

შემოქმედი, 3 აგვისტო 26 ივლისს შეკრებილი იყალთოს რაიონული პარტიული კონფერენცია გესალმებათ კომპარტიის ხელმძღვანელთ და ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელს ჩვენს საწინაშო ამოცანებს სოციალისტურ აღმშენებლობაში კომუნისტურ ფრონტს ვსდებთ ნათლათ შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა. გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას მასწავლებლებს: ამხან. ლენინს, მიხა ცხაკაიას, ფ. მახარაძეს! გაუმარჯოს კომინტერნს და კომუნისტურ პარტიას!

კონფერენ. თავმჯდომარე ზუბაჩიძე.

საქართველოს წითელ არმიაში

ს. საგარეჯო

შაბათს 30 ივლისს ს. საგარეჯოში მოხდა საერთო მიტინგი № ჯავშნიან მატარებლის წითელ არმიელთა და თანამშრომელთა საერთო კრება კრებაზე თფილისის მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. კობიძემ (ციმბირელმა) გააკეთა ვრცელი მოხსენება. ეკონომიური საკითხები საბჭოთა საქართველოში და ძირითადი მიზეზები, წითელი არმია და მისი მოვალეობა, მესამე კომინტერნი. მომხსენებელმა ყოველი საკითხი ნათლად გაუშუქა კრებას, კრება დიდათ კმაყოფილი დარჩა. იქნა გამოტანილი დადგენილება გაეგზავნოს საბჭოთა მთავრობას მისალმების შემდეგი დეპეშა; მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კობიძის, გავეცანით მთავრობის მოქმედებას, ვუძღვნით სალამს ს. ს. რ. მთავრობას, ახალგაზრდა საქართ. წითელს არმიას და მის ხელმძღვანელს ამხ. ელიავას, საქ. კომპარტიას და მასთან ამხ. კობიძეს მთელი მიტინგის სახელით, რომელმაც დახარჯა ენერგია და მოგვიტანა ძით დიდი სარგებლობა.

დასასრულ კრება გამოსთქვამს სურვილს რაც შეიძლება ხშირათ გვიმოგზავნონ ასეთი ამხანაგები და მით საშუალება მოგვცენ ჩავებათ საერთო საქმიანობის ფერხულში.

მიტინგის თავმჯდომარე ს. მახარაძე

—

პოლიტგანყოფილების კომიჩეიკის კრება.

29 ამ თვეს შესდგა საქართველოს წითელი არმიის პოლიტიკურ განყოფილების კომიჩეიკის წევრთა მორიგი კრება. კრება გახსნა ამხ. ბუაჩიძის თავმჯდომარეობით და ამხ. ვარდანაშვილის მდივნობით. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) ერთკვირეული საგაზეთო ინფორმაცია, 2) სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დამშეულ გუბერნიის მცხოვრებთა დახმარება და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალხაზიშვილმა. იგი შეეხო დასავლეთ ევროპის საბჭოთა რუსეთის და აღმოსავლეთ ქვეყნების დღევანდელ მდგომარეობას. მის მოხსენების შემდეგ კრება გადავიდა მეორე საკითხზე, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბობოხიძემ. იგი შეეხო სამხრეთ აღმოსავლეთის რუსეთის დღევანდელ კატასტროფიულ მდგომარეობას და მოუწოდა ამხანაგებს მიიღოთ საჭირო ზომები დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთა დასახმარებლად. კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. ბობოხიძის და ერთხმათ დაადგინა: „მიენდოს პოლიტიკურ განყოფილებას ფართო აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით მოუწოდოს ქართველ წითელ არმიელთ და ფართო საზოგადოებას და გამოიღონ თავის წვლილი დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთა დასახმარებლად. თვით კომიჩეიკამ გაწიოს აგიტაცია პოლიტგანყოფილების თანამშრომელთა შორის დახმარების გასაღებათ; რის შესახებ კრება შესდგეს 30 ს პირველ საათზე, სადაც მომხსენებლად გამოვა ამხ. ოკუჯავა რუსულ ენაზე და ბუაჩიძე ქართულზე.

დახმარების ნორმის შესახებ ერთხმათ დაადგინეს: „გადაიდვას 14 დღის განმავლობაში ნახევარი გირვანქა პური თითო ამხანაგიდან და ორი თვის ჯამაგირი დამშეულთა დასახმარებლად“.

შემდეგ მოხდა არჩევნები პოლიტგანყოფილების თანამშრომელთა შორის შემოწირულების გამტარებელი კომისიის წევრების კანდიდატებისა; არჩეულ იქნენ ამხ. ბობოხიძე, ენუქიძე და კუპცოვი.

პროვინციაში.

ქ. ლანჩხუთი.

10 ივლისი მეტად ღირსშესანიშნავი დღეა ლანჩხუთის ცხოვრებაში. ამ დღეს დანიშნული იყო კომპარტიის მიერ მორიგი კვირაობა. გათენდა თუ არა ახლო მახლო სოფლებიდან იწყეს ქალაქის მოედანზე თავმოყრა კვირაობაში მონაწილეობის მიმღებ მსურველებმა. მოდიოდა ზოგი ურმებით და ზოგიც ისე. წინ გაუძღვა მუსიკა და ასე წავიდნენ მახლობელ ტყეში, რომ იქიდან გამოეტანათ შეშა. წარმოუდგენელი სიხარული და აღფრთოვანება სუფევდა, კალმით აუწერელია ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენდა ასეთი ამხანაგური შრომა ყველა ამხანაგებზე, 3 საათი იქნებოდა, როდესაც გაისმა კვლავ მუსიკის ხმა და ქალაქს მოუახლოვდა დატვირთული ურმები, რომელნიც ერთმანეთს მოსდევდნენ. მთელი ბაზარი ამოიარა ამ ურმებმა და შეშა მიიტანეს თავის ადგილას. ხედავდენ რა ასეთს სანახობას, იმას რომ კომუნისტები საქმით ამტკიცებენ თავის რევოლიუციონერობას, მენშევიკებიც კი ვერ ბედავდენ რაიმე საწინააღმდეგოს თქმას. მოიტანეს 50 მდე ურემი შეშა, რომელიც მოხმარდება სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს. ეს მეორე კვირაობაა ლანჩხუთში, რომელიც ასე ბრწყინვალედ ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 150 კაცმა; ამათში 100-ზე მეტი კომუნისტი იყო, სხვები თანამგრძნობლები.

ვუსურვებთ ამხანაგებს კვლავ უფრო ენერგიულად განაგრძოთ ასეთი მუშაობა.

კარლო

—

ს. გრემისხევი

(დუშეთის მაზრა).

სოფ. გრემისხევში 1921 წ. თიბათვის 10-სა ადგილობრივ ინტელიგენტთა თაოსნობით დაარსდა ამ სოფელში კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება, რომელმაც თავის დაარსების შესახებ წარუდგინა ოქმი ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარეს ამხ. დ. დებაშვილს და მან თავის დასკვნით გაგზავნა დასამტკიცებლად ქ. დუშეთში.

იმედია, როგორც პირველი, ისე მეორე შეხვდებიან ფრიად სასიამოვნო საქმეს სოფლის თავის შესაფერი ყურადღებით. ზემო-აღნიშნულმა ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ პირველ რიგში შეუძლო სცენის მოწყობა და პირველი წარმოდგენის დადგმა: „რასაც გინახავს, ველარ ნახავ“, რომელმაც, როგორც პირველმა, ჩაიარა ძლიერ კარგათ. ამავე საზოგადოებამ აირჩია თავის საქმის საკეთებლად და მოსაწყობათ გამგეობა შვიდი კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ გ. ტარიშვილი, მის თანაშემწეთ ი. ფხალაძე, მდივნად გ. გედევანიშვილი, წევრებათ შალვა და ნიკოლოზ გედევანიშვილები, ქ. გოძიაშვილი, მ ღარიბაშვილი და რეჟისორად ირ. გედევანიშვილი. ახალი გამგეობა იმედს გამოსთქვამს, რომ დაეხმარება როგორც მთავრობა, ისე საზოგადოება, რომლითაც ხელს შეუწყობს სოფ. გრემისხევის კულტურის წინსვლას.

გრემისხეველი.

—

ს. ს ხ ვ ა გ ი

ამა წლის 10 ივლისს სოფ. სხვავში ადგილობრივ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ გამართა წარმოდგენა. მიუხედავათ სიმძლავრისა, რომელიც სუფევს ჩვენს სოფელში მაინც მთელი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხზე. წარმოდგენის დაწყებამდე რადგანაც პირველი იყო წელს ჩვენი საზოგადოების ასეთი მრავალრიცხოვანი წარმოდგენაზე, ალიონშა მდივანმა მიმართა მოკლე სიტყვით ხალხს, რომელიც დაამთავრა შემდეგით: „ნუ გავიწყდებათ, რომ სოციალიზმის, კაცობრიობის იდეალი არსწრაფების საგანი იყოს მარტო მატერიალური კეთილდღეობა, არა, იგი არის ბედნიერების ერთი მხარეთაგანი, იგი არის საფუძველი და პირობა ხალხის სულიერათ ამაღლების, ხალხის ესტეტიურად, ზნეობრივათ და გონებრივათ ამაღლებისა. შეს ძლებელია თვითონ თავისთავათ წარმოდგენამ იმდენი შთაბეჭდილება ვერ დასტოვოს ჰქვეყნზე, როგორც მოითხოვს თეატრის მიზანი, მაგრამ სხვა მხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი იმიტომაა ეს წარმოდგენა, რომ მის დადგმაში მონაწილეობა მიიღო თქვენმა—მუშების შვილებმა. ხალხმა სიტყვას ტაშისცემით უპასუხა.

წარმოდგენის დასასრულს 12 ივლისისათვის კულტურულ მუშაობის დასაწყებათ რამოდენიმე პირის მეთაურობით მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, რომლის მიზანსაც შეადგენს კულტურულ წრის დაარსება.

ა. გ.

—

დაბა აბაშა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს დ. აბაშა დიდი ყურადღების ღირსია, ვინაიდან დაბა აბაშა მთელ სენაკის მაზრაში, წარმოების ცენტრს წარმოადგენს, რამდენადაც კი არ ეპობს ასეთი. ამ რაიონში არსებობს ოთხი ხერხის ქარხანა, ბამბის საპენტი, პურის სალეწი და სხვა ქარხნები, გარდა ამისა მარნის და გეზათ-გულეხათის თემებში ორი კიდევ ხერხის ქარხანა. ამ ქარხნებთა შორის უმკაცრესობა მუშაობაშია და საჭიროა ცენტრიდან დახმარება მაზუთით და სხვა საჭირო მასალებით, რომ ქარხნები ამუშავდეს და მით ხელი შეეწყოს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობას.

პარტიული მუშაობა აბაშაში და მის რაიონში ცოტათი მოიკოჭლებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს პარტიული მუშაობა ხელი შეუწყო სენაკის მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხანაგ სიმონ მამულიას ჩამოსვლამ აბაშაში, მან დაათვალიერა ქარხნები და დაავალა ამხანაგებს, რომ ხელი შეუწყონ ქარხნების ამუშავებას. ჩამოიარა ზოგიერთი თემები, მოაწყო პარტიული კრებები, მიტინგები, და აუხსნა ამხანაგებს პარტიული მუშაობის მნიშვნელობა და დისციპლინის დაცვა. დაუფარავი მიმდინარე მომენტი და მოუწოდა ყველა ამხანაგებს გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა მთავრობას, სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ყველა ამხანაგები კმაყოფილი დარჩნენ ამხ. ს. მამულიას და შეჰპირდნენ რკინისებურ დისციპლინის დაცვით მთელ ძალღონე შეწირონ პარტიულ მუშაობას.

ქალთა მუშაობა უნდა ითქვას ცოტათი მიდუნებულია, წინათ მაზრიდან ჩამოვიდა ინსტრუქტორი ქალი ქრისტინა ხოშტარია, მოაწყო ქალთა კრებები დ. აბაშაში; მარანში, ს. აბაშაში და სხვაგან. ქალები ყველგან აღტაცებით შეხვდნენ ამ მოვლენას, მიუხედავათ პროვოკატორების მიერ გავრცელებული ჭორებისა, ხოლო მის შემდეგ კი მუშაობა არავის უწარმოებია, თუმცაღა ბევრი ქალები მუშაობას სურვილს გამოთქვამენ.

ვასკაძე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება

მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილებასა და ქვე (განყოფილებებთან განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების სექციათა და არსების შესახებ

ვინაიდან საკულტურო-საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალი არსებითი თავისებურობა თანამავლობს, სადაც ინდივიდუალურ თვისებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსთ და აგრეთვე ვინაიდან პედაგოგთა წრე არჩეულ პირთაგან შესდგება, შრომის სახალხო კომისარიატი იმ მიზნით, რომ საკულტურო-საგანმანათლებლო ძალა სწორად და სამართლიანათ იქნას განაწილებული, სრულიად საქართველოს განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირთან შეთანხმებით, ადგენს:

1. დაარსებულ იქმნას მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ყველა რაიონულ ქვე განყოფილებასთან განათლების და სოციალისტურ მუშაკთა აღრიცხვა განაწილების სექციები.

2. იმავე მიზნით შრომის კომისარიატის მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილებასთან დაარსებულ იქმნას განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა აღრიცხვა განყოფილების ცენტრალური სექცია.

3. რაიონულ სექციის გამგედ უნდა იქნეს განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი, ხოლო ცენტრალური სექციის გამგედ—სრულიად საქართველოს განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი.

შენიშვნა: რაიონულ და ცენტრალურ სექციათა გამგენი ითვლებიან მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების სათანადო ორგანოთა თანამშრომლებათ.

4. ცენტრალურ და რაიონულ სექციათა ხარჯები შეტანილ უნდა იქნას აღრიცხვა-განაწილების სათანადო ორგანოთა ხარჯთ-აღრიცხვაში

5. მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების რაიონული განყოფილებანი და მათი აგენტები აწარმოებენ განათლების მუშაკთა აღრიცხვას, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების ასლებს ჰგზავნიან ცენტრალურ სექციაში.

რაიონულ ქვე განყოფილებათა და მათი აგენტების მიერ განათლების მუშაკთა მოთხოვნა და აგრეთვე უკვე აღრიცხულ მუშაკთა განაწილება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ცენტრალურ სექციის ჩვენებით.

6. განათლების მუშაკთა დაუსწრებლივი აღრიცხვა შეიძლება იქ, სადაც აღრიცხვა-განაწილების ქვეგანყოფილება არაა. ასეთ შემთხვევაში აღსარიცხავი პირი აღრიცხვა განაწილების უახლოეს ქვე-განყოფილებას უგზავნის წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხს სარეგისტრაციო ბარათში დასმულ კითხვებზე. ამ წესით აღრიცხულთ აღრიცხვა-განაწილების ქვეგანყოფილება უნდა მოექცეს მე-5 § ის თანახმად.

7. დაშვებულია პირდაპირ გამოცხადებით და დაუსწრებლივ აღრიცხვა აგრეთვე სამსახურში მყოფ განათლების იმ მუშაკთა, ვისაც სურთ სხვა ადგილას გადასვლა.

8. მთელი რესპუბლიკის ფარგლებში სამსახურში მყოფ განათლების მუშაკთა ხელახალი განაწილება ხდება ცენტრალურ სექციის მიერ სახალხო განათლების კომისარიატთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

9. სექციები [illegible] ლივ მიღებისთანავე ამისა და მათი მუშაობის დაწყ[illegible] ცენტრალურ სექციას.

შრომის სახ. კომ. მოადგილე **მიქაძე.**

სრულიად საქ. განათლების და სოც. კულტურის მუშაკთა კავშირის თავმ. მოადგილე გ. ხაყვარელიძე.

საქ. მმართველი მ. ბეჟანიშვილი

ჩვენი ფოსტა

სოკას: არ დაიბეჭდება, ვინაიდან დრო გასულია.

ზოტე: არ დაიბეჭდება.

კოლმახს: ამის შესახებ უნდა იმსჯელოთ კომიჩეიკაში და შემდეგ შესაფერისი რეზოლიუცია გადაუგზავნეთ ცეკას. გაზეთში მისი დაბეჭდვა არ ღირს.

ხაშურელი მოხიკა: თქვენ სოფლის მეურნეობას უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევთ ვიდრე ქალაქისას.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ს ა ზ ე ი მ ო ა ქ ტ ი

საქ. კომ. პარტიის ცენტრალური პარტსკოლის პირველი წყების

კურსელთა გამოშვებისა გაიმართება

კვირას, 7 აგვისტოს, 12 საათზე ცენტრ. პარტსკოლის ბინაზე (ერმოლოვის ქუჩა, № 13). აქტზე მიწვეულია პარტიისა და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი, სკოლის ლექტორები და სხვა ამხ.

პარტიის გასამაგრებელი ორკვირეულის გამტარებელი ცენტრალური საორგანიზაციო კომისია

აწყობს 7 აგვისტოს საერთო პარტიულ კვირეულ. მუშაობა დაიწყება არსენალში, ავჭალის წყალსადენი, ცასის მთავარი სახელოსნო და რკინის გზის დეპო მთავარი სახელოსნოები, მთავარი საწყობი მასალებისა და რუსის სამსახურის გზები. კვირეულში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ორგანიზაცია კავ. ჯ. რ. განყოფილება და ქართულ წითელი ჯარი. მონაწილეთა რიცხვი აღნიშნულია 3000 კაცამდე

კვირეულის გატარების წესი 8 საათზე ყველა რაიონები თავს იყრიან თავიანთ რაიკომებთან, სამხედრო ნაწილი თავიან ხელმძღვანელთა მითითებით. 9 საათზე ყველანი უნდა იყვნენ ცენტრალურ თავმოსაყრელ ადგილს.

1 და 2 რაიონი ნაძალადევის თეატრთან 3, 4, 5—არსენალთან სამხედრო ნაწილი მივა თავიანთ ბინის მახლობელ ცენტრალურ თავმოსაყრელ პუნქტში. სწორ 9 საათზე გაიხსნება მიტინგი თემებით: შაბათობის მნიშვნელობა შრომის ფრონტზე ნაძალადევის თეატრთან გამოვა ამხ. მდივანი, რომელიც სიტყვას წარმოსთქვამს რუსულ ენაზე ამხ. ელიავა ქართულად. არსენალთან გამოვა ამხ. ლისოვსკი სიტყვით რუსულ ენაზე. ამხ. ორახელაშვილი ქართულ ენაზე.

მიტინგის შემდეგ დაუყოვნებლივ წავლენ მუსიკით და სიმღერით სამუშაოთ. კვირეული დასრულდება დღისით 2 საათზე.

ს[illegible]ბის საქსოვი კურსები

პირველი სოლ[illegible] ქალაქის ქართული ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი ამით აცხადებს თავის მოწაფეებს და მასწავლებლებს, რომ რვა აგვისტოდან იხსნება სასწავლებლის ბინაზედ სკამების საქსოვი კურსები, აგრეთვე იწარმოებს სხვა და სხვა მუშაობა საზამთრო თავშესაფრებს საპროიუტებისთვის როგორც მაგალითად: ფეხსაცმელების და ტანსაცმლის კერვა. ვთხოვ ყველას გამოცხადდნენ სასწავლებელში ცნობების მისაღებად.

სასწავლებლის გამგე: ე. კლიმიაშვილი.

საჭიროა მემანქანენი

საქართველოს დეპეშათა სააგენტოსათვის. მსურველებმა უნდა მიაკითხონ გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში. კოჟუზე შტეინის ქუჩა № 4 მესამე სართული.

სრულიად საქართველოს ყრილობისთვის ახალგ. კომ. კავშირის რომელიც გაიხსნება 20 აგვისტოს ამ. წ.

საჭიროა საჩქაროთ **ერთი სტენოგრაფი**

რუსულ და ქართულ ენისათვის. ცნობებისთვის მიმართეთ 8 აგვისტომდე ც.—კ. საქმეთა მმართველს (რუსთაველის პრს. № 22).

კ ო ნ კ უ რ ს ი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საფოსტო მარკების ნიმუშების დამზადებაზე

საფოსტო მარკა უნდა იყოს 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5.000 მანეთის ღირებულებისა.

კონკურსის პირობები: 1) უნდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო მარკების შვიდი სხვა და სხვა ნიმუში შემდეგი ზომისა: პირველი ხუთის ნიმუშები იმავე ზომის იქნება რა ზომისაც ძველი საფოსტო მარკები იყო. 1000 მანეთიანი მარკა უფრო დიდი იქნება ზომით, ვიდრე პირველი ხუთი, ხოლო 5.000 მანეთიანი უფრო დიდი ვიდრე 1000 მანეთიანი მარკა. სხვა და სხვა ღირებულების მარკა სხვა და სხვა ფერის უნდა იყოს. 2) პირველ 5 მარკების ნიმუშებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ღერბი და უნდა ჰქონდეს ქართულ და ფრანგულ ენებზე შემდეგი წარწერა: საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, 3) 1000 და 5000 მანეთიან მარკებზე გამოსახული უნდა იყოს რომელიმე დამახასიათებელი სიუჟეტი საქართველოს რევოლიუციონურ პერიოდიდან, ხოლო წარწერა ისეთივე იქნება, როგორც პირველ ხუთს. საუკეთესო პროექტი დაჯილდოვებულ იქნება 500 000 მანეთით, საშუალო 300.000 მან. და 200.000 მანეთით 4) სრულებით დამთავრებული ნიმუში, მხატვრის ფსევდონიმის აღნიშვნით, ცალკე კონვერტით, ხოლო მე 2 კონვერტში ფსევდონიმის მაგიერ გვარის აღნიშვნით, უნდა წარედგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, კომისარის სახელზე არა უგვიანეს 13 აგვისტოსი ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

კომისარის მოადგილე ბ. ბ. ბიბინეიშვილი.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.

ტირაჟი 10,000 ნ. ტ. ¶ ¶